

შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6



შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

შპს საბაჰ გრ უპ ჯორ ჯია ს/კ: 205281354			
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
		2018	2017
ნეტო ამონაგები		3,459,258	2,353,329
საქონლის გაყიდვიდან	3	3,459,258	2,353,329
მომსახურების გაწვიდან		-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა შემოსავალი		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(1,944,267)	(1,712,365)
საწყისი მარაგები		(553,767)	(872,237)
მარაგების შესყიდვა		(2,779,540)	(1,393,895)
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		(1,389,040)	(553,767)
საერთო მოგება		1,514,991	640,964
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	378,691	266,466
ცვეთა და ამორტიზაცია	6	74,734	32,844
საპროცენტო შემოსავალი:		-	-
საპროცენტო ხარჯი:		-	-
იჯარის ხარჯი	7	382,756	274,246
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	8	245,302	140,617
სულ საოპერაციო ხარჯები		1,081,483	714,174
საოპერაციო მოგება		433,508	(73,210)
<u>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</u>			
ფინანსური აქტივები		-	-
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	9	(144,999)	30,389
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასავალუტო შემოსავალი/ (ხარჯი)	10	(182,908)	(176,063)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		105,601	(218,884)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		105,601	(218,884)
<u>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</u>			
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რევერსი		-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უმრავლესობის ქონების		-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		105,601	(218,884)



შპს „საბაჰ გრუპ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

შპს საბაჰ გრ უპ ჯორ ჯია ს/კ: 205281354				
ფ ინანსურ ი მდგომარ ეობა		12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		151,757	65,789	81,004
სავაჭრო მოთხოვნები	11	75,242	69,298	66,717
გადახდილი ავანსები	12	124,337	250,860	21,148
მარ აგები		1,389,040	553,767	872,237
მზა პროდუქცია	13	1,389,040	553,767	872,237
სხვა				
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	14	17,533	15,245	10,085
ბიოლოგიურ ი აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	15	149	187	234
ძირითადი საშუალებები	16	387,223	189,875	157,383
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		2,145,281	1,145,021	1,208,807
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	17	922,340	255,588	199,421
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		5,980	71,167	85,933
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18	1,664,203	1,611,727	1,645,675
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	19	1,894,405	1,653,788	1,506,142
სულ ვალდებულებები		4,486,928	3,592,269	3,437,171
საკუთარ ი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		-	-	-
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(2,341,647)	(2,447,248)	(2,228,364)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარ ი კაპიტალი		(2,341,647)	(2,447,248)	(2,228,364)
სულ საკუთარ ი კაპიტალი და ვალდებულებები		2,145,281	1,145,021	1,208,807



შპს "საბაჰ გრუპ ჯორჯია"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018 პერიოდისთვის

საკუთარ ი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერ იოდის საწყისი ნაშთი)	(2,447,247.98)	(2,228,364.00)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	105,601.09	(218,883.98)
კაპიტალი საანგარ იშგებო პერ იოდის ბოლოს	(2,341,646.89)	(2,447,248)

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია
დირექტორი: ოთარ ქირია



შპს “საბაჰ გრუპ ჯორჯია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 18/06/2009). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა, ბინა N26.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლით, კერძოდ საბავშვო ტანსაცმლით, ავეჯით და აქსესუარებით ვაჭრობა.

კომპანიის დირექტორი: ოთარ ქირია (პ.ნ. 01009005550)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნაშთის შემცირების მეთოდით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:



- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 20%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივებისთვის ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე



ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები



სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

განმარტებითი შენიშვნები:

3.

	2018	2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1944267.30)	(1712364.96)

საქონლის საცალო რეალიზება ხდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე. ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ და 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს.

4.

	2018	2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1944267.30)	(1712364.96)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.



5.

	2018	2017
დასაქმებულთა ანაზღაურება	378691.29	266466.48

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს როგორც სახელფასო, ასევე საბონუსე განაცემებს.

6.

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	74733.99	32844.25

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა ხდება ნაშთის შემცირების მეთოდით.

7.

	2018	2017
იჯარის ხარჯი	382756.01	274246.14

იჯარის ხარჯი აღიარდება მოგება ზარალში პერიოდის ხარჯად.

8.

	2018	2017
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	245301.94	140617.49

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს როგორცაა მარკეტინგული, კომუნალური, საკანცელარიო და სხვა.

9.

	2018	2017
წმინდა შემოსულობა /დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(144999.00)	30389.41

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.



10.

	2018	2017	2016
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(182907.64)	(176063.01)	

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი მოიცავს სესხის პროცენტს და თანამშრომლებზე დარიცხულ ჯარიმებს.

11.

	2018	2017	2016
სავაჭრო მოთხოვნები	75242.45	69297.98	66717.2

სავაჭრო მოთხოვნები წარმოქმნილია ადგილობრივი მიწოდებიდან.

12.

	2018	2017	2016
გადახდილი ავანსები	124,337	250,860	21,148

გადახდილი ავანსები მოიცავს, საიჯარო, და სხვა საოპერაციო მომსახურების წინასწარ ანაზღაურებულ თანხებს.

13.

	2018	2017	2016
მზა პროდუქცია	1389039.53	553767	872236.52

მზა პროდუქცია მოიცავს გასაყიდად განკუთვნილ იმპორტირებულ საქონელს.

14.

	2018	2017	2016
სხვა მიმდინარე აქტივები	17533.1	15245.47	10084.88

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება მარაგებისგან რომელიც წარმოადგენს რეალიზაციის პროცესში დამხმარე საქონელს, პარკებს, თაგებს და სხვადასხვა დეკორატიულ ნივთებს.

აღნიშნული მარაგების ჩამოწერა ხდება 3 თვეში რეალურად არსებული ნაშთიდან გამომდინარე.

15.

	2018	2017	2016
სხვა არამატერიალური აქტივები	149.48	186.85	233.57

არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამა.

16.

	2018	2017	2016
ძირითადი საშუალებები	387223.02	189874.91	157382.91

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით. კომპანიის საკუთრებაში არ აღირიცხება უძრავი ქონება.

17.

	2018	2017	2016
სავაჭრო ვალდებულებები	922339.93	255587.57	199420.85

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების, საქონლის და/ან ძირითადი საშუალებების შეძენიდან.

18.

	2018	2017	2016
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1664203.08	1611726.53	1645674.63

გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს არარეზიდენტისგან მიღებულ სესხს.

19.

	2018	2017	2016
სხვა ვალდებულებები	1894405.15	1653787.7	1506142.2

სხვა ვალდებულებებში მოცემულია სესხის პროცენტი და მიღებული ავანსები.

შპს საბაჰ გრუპ ჯორჯია
დირექტორი: ოთარ ქირია



20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2019 წლის 11 სექტემბერს.

